



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 242/ს
29/05/2023

242-21-4-202305290939



შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 17 ივლისს შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-630).

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბერთაკარში შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე გზშ-ის ანაგრიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარი, რომელიც გამოიყენება შახტური წყლების შესაგროვებლად და გასაწმენდად. სალექარიდან გამოსული დაწმენდილი წყალი გადაიტუმბება წყლის შესაგროვებელ რეზერვუარებში და გამოიყენება ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს ტექნოლოგიურ პროცესში. ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია 9500 მ³ მოცულობის რეზერვუარი, რომელიც გათვალისწინებულია, როგორც 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ერთი სექციად. აღნიშნული ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია ფუჭი ქანების და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი, დაშორებულია დაახლოებით 190 მეტრით, ხოლო უშუალოდ რეზერვუარ-სალექარიდან - 530 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, გათვალისწინებულია საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის და მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების ავტო-სამრეცხაოების მოწყობა, ასევე, ფუჭი ქანების სანაყაროს და ნიადაგის დასაწყობების ტერიტორიის გაფართოება.

გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით, საბადოს ტერიტორიაზე მოწყობილია ე.წ. „ბიოტულეტები“, ხოლო ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის განთავსებულია დაახლოებით 15-20 მ³ მოცულობის ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად იწმინდება საასენიზაციო მანქანით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით გათვალისწინებულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, სადაც ჩართული იქნება საწარმოო მოედანზე არსებულ სასადილოში, საერთო საცხოვრებელში, სხვადასხვა ოფისებში და შენობებში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლები. საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის GPS კოორდინატებია: X-449253.5723, Y-4591794.646; X-449258.6132, Y-4591791.391; X-449250.4774, Y-4591778.789; X-449245.4365, Y-4591782.044. სასადილოს, საერთო საცხოვრებლის, ოფისების და შენობების ნაწილში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლები, კოლექტორის საშუალებით, თვითდინებით მიეწოდება ტერიტორიაზე დაგეგმილ საპროექტო გამწმენდ ნაგებობას, ხოლო იმ ოფისებსა და შენობებში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად, რომლებიც თვითდინებით ვერ დაუკავშირდება საპროექტო გამწმენდი ნაგებობის შემკრებ კოლექტორს, გამოყენებული იქნება საწარმოო ტერიტორიაზე არსებული ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმო, რომლის მართვა მოხდება გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით, შერჩეულ იქნა AQUAmax® PROFESSIONAL XL სისტემის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, რომელიც გათვლილია ობიექტზე დასაქმებულ 230 ადამიანზე. გამწმენდი ნაგებობის წარმადობა შეადგენს 32 მ³/დღ. ობიექტზე დღის განმავლობაში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 30,78 მ³/დღ.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს კომპაქტურ სისტემას, რომელიც შედგება 3 ერთმანეთთან დაკავშირებული ბეტონის რეზერვუარისგან. გამწმენდი ნაგებობის საერთო მოცულობა შეადგენს 80 მ³-ს. პირველი ბეტონის რეზერვუარი წარმოადგენს პირველადი დალექვის ავზს (პარამეტრები: სიგრძე - 4 მ, სიგანე - 4 მ, სიღრმე - 2,3, მოცულობა - 36,8 მ³), რომელშიც ინტეგრირებულია ლამის შესანახი. პირველადი დალექვის ავზში მიმდინარეობს ჩამდინარე წყლის მექანიკური მინარევებისგან გასუფთავება, საიდანაც ჩამდინარე წყალი გადადის მეორე - ბუფერულ ავზში (პარამეტრები: სიგრძე - 4 მ, სიგანე - 2 მ, სიღრმე - 2,3 მ, მოცულობა - 18,4 მ³). აღნიშნულ ბუფერულ ავზში ხდება მექანიკური მინარევებისგან გაწმენდილი წყლის შეგროვება და მესამე - SRB ბიოლოგიური დამუშავების რეზერვუარში (პარამეტრები: სიგრძე - 4 მ, სიგანე - 3 მ, სიღრმე - 2,07 მ, მოცულობა - 24,8 მ³) გადატანა. ბუფერული ავზი ასევე გამოიყენება საასენიზაციო ორმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის შესაგროვებლად. ბუფერული ავზიდან, ჩამდინარე წყალი, ტუმბოს საშუალებით, გადაინაცვლებს SRB ბიოლოგიური დამუშავების რეზერვუარში, რომელიც ასევე წარმოადგენს რეაქტორს. აღნიშნულ რეაქტორში, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესი მიმდინარეობს დღე-ღამეში 5 ტექნოლოგიური ფაზით. პირველ ფაზაზე, რეზერვუარის შევსება ხდება იქამდე, სანამ არ მიადწევს შევსების მაქსიმალურ დონეს. მეორე ფაზაზე (დენიტრიფიკაცია), ახლად შემოსული ჩამდინარე წყალი ერევა არსებული აქტივირებული ლამის მოცულობას. მესამე ფაზაზე (აერაცია და

შერევა), აერაციის საშუალებით ხდება ნახშირბადის და ნიტრიფიკაციის შემცირებისთვის საჭირო ჟანგბადის შედინება. აერაცია უზრუნველყოფს ჰაერის ოპტიმალურ შეღწევას და ჩამდინარე წყლების შერევას. აღნიშნული ფაზის დასრულების შემდეგ, დაიწყება მეოთხე ფაზა (დალექვა), რომელიც გრძელდება აქტივირებული ლამის დალექვამდე, რისთვისაც საჭიროა 1-1,5 საათი. აქტივირებული ლამი ილექება და გამოცალკევდება გაწმენდილი წყლისგან. დალექვის ფაზაზე წარმოიქმნება სუფთა წყალი, რომელიც ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობიდან გამოდის მე-5 ფაზაზე (დაცლა). გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყალი, 1200 მ სიგრძისა და 100 მმ დიამეტრის მილის საშუალებით, ჩაშვებული იქნება მდ. ხრამში. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X-449602; Y-4592598.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის გავლის შემდეგ, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: pH 6,5-8,5; $\text{ქმ} < 125,0$; $\text{ქმ}_5 < 25,0$; საერთო აზოტი $< 15,0$; საერთო ფოსფორი $< 2,0$; შეწონილი ნაწილაკები $< 60,0$.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოო ტერიტორიაზე არსებულ ავტოსადგომში, რომელიც განთავსებულია შახტის პორტალის მიმდებარედ (GPS კოორდინატები: X-449255.7776, Y-4592102.29; X-449261.1519, Y-4592102.424; X-449261.3338, Y-4592095.146; X-449255.9595, Y-4592095.012), ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია მსუბუქი ავტომობილების ავტოსამრეცხაოს მოწყობა (ფართობი: 39 მ²) - 9 მსუბუქი ავტომობილის და ერთი ავტობუსის რეცხვისთვის. საპროექტო ავტოსამრეცხაოს წყალმომარაგება გათვალისწინებულია საწარმოო ტერიტორიაზე განთავსებული 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-საღებარიდან. დღეის მდგომარეობით, საბადოს ტერიტორიაზე მოწყობილი რეზერვუარი-საღებარიდან გაწმენდილი წყალი, 540 მ სიგრძის და 100 მმ დიამეტრის მილსადენის საშუალებით, გადაიტუმბება შახტის პორტალის მიმდებარედ არსებულ 3 ერთეულ (თითოეული 50 ტ) წყალშემკრებ რეზერვუარებში, შემდგომ ტექნოლოგიურ პროცესებში ჩართვის მიზნით. სამრეცხაოს წყალმომარაგების მიზნით, აღნიშნულ წყლის შემკრებ რეზერვუარებთან დასაკავშირებლად დამატებით განთავსდება 20 მ სიგრძის და 32 მმ დიამეტრის მქონე მილი. დოკუმენტის თანახმად, ერთი ავტომობილის რეცხვისთვის საჭიროა დაახლოებით 200 ლ წყალი, ხოლო ავტობუსისთვის - 300 ლ წყალი. დღის განმავლობაში, ავტოსამრეცხაოში მოსალოდნელია 2100 ლ (2,1 მ³) ჩამდინარე წყლის წარმოქმნა. მსუბუქი ავტომობილების სამრეცხაო იმუშავებს დღეში 12 საათის განმავლობაში შესაბამისად, მაქსიმალური საათური ხარჯი იქნება 0,175 მ³. სამრეცხაოში გამოყენებული წყლის პირველადი დალექვა მოხდება სამრეცხაოს წყლების შესაკრებად გათვალისწინებულ საღებარში (პარამეტრები: 5.5მ×1მ×1,7მ, მოცულობა - 9.35 მ³) საიდანაც ჩამდინარე წყალი, ნავთობდამჭერის („conteches“-ის წარმოების წყლის კოალესცენტური სეპარატორი) გავლით გაიტუმბება შახტაში არსებულ ზუმფში, ხოლო ზუმფიდან საწარმოო ტერიტორიაზე არსებულ რეზერვუარ-საღებარში და ჩაერთვება ბრუნვით წყალმომარაგების სისტემაში. აღნიშნულისთვის, ავტოსამრეცხაოდან შახტაში არსებულ ზუმფამდე, განთავსდება 354 მ სიგრძის და 100 მმ დიამეტრის მილსადენი. ავტოსამრეცხაოს საღებარებში დაგროვილი ლამი პერიოდულად, დაგროვების შესაბამისად, გადატანილი იქნება ფუჭი ქანების სანაყაროზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დასახლებულ პუნქტებში დაბინძურებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების თავიდან ასაცილებლად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საბადოს ტერიტორიის მიმდებარედ

(დაახლოებით 80 მ-ში), დამატებით ასათვისებელ ახალ ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-449283.0012, Y-4591336.175; X-449310.2702, Y-4591375.417; X-449318.4821, Y-4591369.711; X-449326.9437, Y-4591345.582; X-449305.3733, Y-4591314.54; X-449304.1205, Y-4591321.5) დაგეგმილია სატვირთო ავტომობილების ავტოსამრეცხაოს (ფართობი: 7575 მ²) მოწყობა, სადაც მოხდება საბადოდან გამომავალი სატვირთო მანქანების საბურავების და ძარების რეცხვა. საპროექტო ავტოსამრეცხაოში სატვირთო ავტომობილების გასარეცხად გათვალისწინებულია სამი ე.წ. „ბოქსის“ განთავსება. ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების შესაკრებად, მოეწყობა სამსაფეხურიანი სალექარი (თითოეული საფეხურის მოცულობა - 675 მ³), სადაც მოხდება ჩამდინარე წყლის პირველადი დალექვა. სამრეცხაო გათვალისწინებულია 100 ერთეული სატვირთო ავტომობილის რეცხვისთვის. ერთი სატვირთო ავტომობილის საბურავების და ძარის გასარეცხად, საჭირო იქნება 300 ლიტრი წყალი. 100 ავტომობილის გარეცხვის შემდეგ, დღის განმავლობაში ადგილი ექნება 30 მ³ ჩამდინარე წყლის წარმოქმნას. სატვირთო ავტომობილების სამრეცხაო იმუშავებს დღეში 16 საათის განმავლობაში, შესაბამისად, მაქსიმალური საათური ხარჯი იქნება 1,875 მ³. სამრეცხაოს წყალმომარაგება მოხდება საწარმოო ტერიტორიაზე განთავსებული 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარიდან, რომელიც ავტოსამრეცხაოს დაუკავშირდება 450 მ სიგრძის და 100 მმ დიამეტრის მილით. სამრეცხაოში გამოყენებული წყლის პირველადი დალექვა მოხდება სამრეცხაოს წყლების შემკრებ სალექარებში და სალექარებიდან გამოსული გაწმენდილი წყალი, „Geotech“-ის ნავთობდამჭერის (ეფექტურობა - 0,3 მგ/ლ, წარმადობა - 11,5 მ³/სთ) გავლით, 420 მ სიგრძის და 100 მმ დიამეტრის მილის საშუალებით, ჩაეშვება 9500 მ³ მოცულობის რეზერვუარ-სალექარში, სადაც მოხდება ჩამდინარე წყლის დამატებითი გაწმენდა. გაწმენდის შემდგომ, ჩამდინარე წყალი დაბრუნდება 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარში. სამრეცხაოს სალექარებში დალექილი მყარი ნაწილები, პერიოდულად, დაგროვების შესაბამისად, გადატანილი იქნება ფუჭი ქანების სანაყაროზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია არსებული ფუჭი ქანების სანაყაროს (GPS კოორდინატებია: X-449346.8845, Y-4591958.887; X-449309.9836, Y-4591950.225; X-449308.8942, Y-4591666.66; X-449476.7743, Y-4591659.635; X-449494.51, Y-4591820.01; X-449348.6051, Y-4591868.299.) გაფართოება და სანაყაროზე ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობა. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ქანების სანაყაროს ფართობი შეადგენდა 32361 მ²-ს, ხოლო გაფართოების შემდეგ, სანაყაროს ფართობი გაიზრდება 7 196 მ²-ით და იქნება 39577 მ². ფუჭი ქანების სანაყაროს ფართობის ცვლილების საჭიროებას განპირობებულია მოპოვებული მადნის თვისობრივი შემადგენლობის გათვალისწინებით განსხვავებული მადნების ცალ-ცალკე და უსაფრთხოდ დასაწყობების აუცილებლობით. ფუჭი ქანების სანაყაროს გაფართოების შემდეგ, შენარჩუნდება არსებული სანიაღვრე სისტემა, ხოლო სანაყაროს ახალ კონტურში, მოეწყობა ახალი სანიაღვრე სისტემა, რომელიც არსებულის მსგავსად ჩართული იქნება შემკრებ ზუმფში და დაკავშირებული იქნება სალექართან. დაგეგმილი ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ფუჭი ქანების დასაწყობების პირობების შეცვლასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, გათვალისწინებულია რეზერვუარი-სალექარის მიმდებარედ არსებული ნიადაგის დასაწყობების ტერიტორიის (GPS კოორდინატებია: X-449123, Y-4591714; X-449221.3, Y-4591632.1; X-449285.04, Y-4591663.41; X-449277.0127, Y-4591729.728; X-449237.72, Y-4591784.036; X-449185.0505, Y-4591763.804) გაფართოება. თავდაპირველი პროექტის თანახმად, ნიადაგის დასაწყობების ტერიტორიის ფართობის შეადგენდა 13604 მ², ხოლო ცვლილების შემდეგ ნიადაგის დასაწყობების ტერიტორიის ფართობი გაიზრდება 1307 მ²-

ით და იქნება 14911 მ². ნიადაგის დასაწყობების ტერიტორიის გაფართოება განპირობებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სატვირთო ავტომობილების სამრეცხაოს მოწყობით, რომლის ტერიტორიაზე (7575 მ²) გათვალისწინებულია 909 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4-5 თვეს. სამშენებლო სამუშაოებში დასაქმებული იქნება დაახლოებით 10 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოსამრეცხაოების ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება სალექარებში ქვიშა/ლამის დაგროვებას, რომელიც განთავსდება ფუჭი ქანების სანაყაროზე. ავტოსამრეცხაოების ფუნქციონირების პროცესში ასევე ადგილი ექნება ნავთობდამჭერებში მცირე რაოდენობით ნარჩენის დაგროვებას, რომელიც, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე, გამწმენდი ნაგებობის მიძღვრულ რეზერვუარში დაგროვილი შლამი, დაგროვების შესაბამისად, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები არ იქნება დაკავშირებული მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან. დღეის მდგომარეობით, საბადოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს როგორც მადნის, ისე ფუჭი ქანების და ნიადაგის დასაწყობება, რისთვისაც გამოიყენება ავტოთვითმცლელი და ერთი საათის განმავლობაში დაახლოებით სრულდება 3-4 სატრანსპორტო ოპერაცია. ვინაიდან, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში სატვირთო ავტომობილების რაოდენობა და მათ მიერ შესრულებული სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა არ იცვლება, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული წვის პროდუქტების რაოდენობა დარჩება უცვლელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფუჭი ქანების სანაყაროსა და ნიადაგის დასაწყობების ტერიტორიის გაფართოების შემდგომ, მცირედით მოიმატებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობა, რაც არსებით გავლენას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ზრდასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა, ხოლო ავტოსამრეცხაოების ექსპლუატაციის ეტაპზე - როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ისე ავტოსამრეცხაოებში განთავსებული კომპრესორები და ბიოლოგიურ გამწმენდი ნაგებობაში მოსაწყობი ტუმბო. დოკუმენტის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის, მასშტაბისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ზრდასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია

დაახლოებით 2,106 მ³ მოცულობის გრუნტის წარმოქმნა, რომლის ნაწილი გამოყენებული იქნება საპროექტო ავტოსამრეცხაოების ტერიტორიის მოსასწორებლად, ხოლო ნაწილი გამოყენებული იქნება საწარმოო ტერიტორიის და მიმდებარე გზის მოსამანდაკებლად ან განთავსდება ფუჭი ქანების სანაყაროზე. რაც შეეხება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დამატებით ასათვისებელ ახალ ტერიტორიაზე სატვირთო ავტომობილების სამრეცხაოს მოსაწყობად მოხსნილ ნიადაგის ნაყოფიერ ფენას (909 მ³), მისი მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ფუჭი ქანების სანაყაროს და ნიადაგის დასაწყობების ტერიტორია, ასევე ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობისა და მსუბუქი ავტომობილების სამრეცხაოს მოწყობისათვის გათვალისწინებული ტერიტორია წარმოადგენს საბადოს ტერიტორიაზე, რომელიც შესწავლილია გზმ-ის ეტაპზე. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ არეალს, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისგან. საბადოს ტერიტორია არ წარმოადგენს ცხოველებისთვის ხელსაყრელ საბინადრო გარემოს. რაც შეეხება საბადოსკენ მიმავალ გზაზე დაგეგმილ ავტოსამრეცხაოს, მისი მოწყობა გათვალისწინებულია არსებული საავტომობილო გზის მიმდებარედ, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ ბალახეული საფარი და არ წარმოადგენს ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელ ჰაბიტატს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ზრდასთან.

„სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან 2781 მ² მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში (ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანი, დარბაზის სატყეო, კვარტალი №3). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ტყეში მდებარე 2781 მ²-დან 2778 მ² ზედებაშია, სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ 8617 მ² მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 80.10.61.152), რომელზეც კომპანიას მიღებული აქვს სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება 15 წლის ვადით (ბრძანება №ი-743). რაც შეეხება, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ასათვისებელ ახალ ტერიტორიას, სადაც დაგეგმილია სატვირთო ავტომობილების სამრეცხაოს მოწყობა, იგი არ ხვდება სახელმწიფო ტყეში. ამასთან, ხაზოვანი shp ფაილში წარმოდგენილი 3825 გრძივი მეტრიდან (ხაზოვანი ნაგებობა), 122 გრძივი მეტრი ზედდებაშია სახელმწიფო ტყესთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტზე 2020 წლის 17 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-640) დადგენილი პირობების დაცვით, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება დაზუსტებული მონაცემებით;
4. შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ვალდებულია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა შეათანხმოს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
5. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 17 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-630) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „არ ემ ჯი აურამაინის“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

